ევროკავშირი
საქართველოსთვის



მცირე ბიზნეს გრანტების კონკურსის განაცხადის შევსების გზამკვლევი

დათქმა

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი (SGRC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

გზამკვლევის შესახებ

ეს დოკუმენტი წარმოადგენს საგრანტო კონკურსის განაცხადის ბიზნეს პროექტის დეტალური ინფორმაციის შევსების გზამკვლევს პროექტის “მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე” ფარგლებში გამოცხადებული მცირე ბიზნეს გრანტების კონკურსისთვის. გზამკვლევი მოიცავს ინფორმაციას დამწყები ბიზნესისთვის განკუთვნილი განაცხადის შესახებ, თუმცა, ეს გზამკვლვევი გამოსადეგია არსებული ბიზნესის განვითარებისთვის მოსამზადებელი განაცხადის შევსებისთვისაც. ძირითადი განსხვავება განაცხადებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ **დამწყები ბიზნესის განაცხადში** განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გეგმები და მოლოდინები, ხოლო **არსებული ბიზნესის გაფართოების განაცხადში** - გეგმებსა და მოლოდინებთან ერთად უკვე დაგროვილი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია.

განაცხადის მომზადებისას განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინონ მოთხოვნილი ინფორმაციის იმგვარად წარმოდგენა, რომ შემფასებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, არსებითად იმსჯელონ ბიზნეს პროექტის შესახებ, შეაფასონ დოკუმენტისა და წარმოდგენილი პროექტის შინაარსი და გადაწყვეტილება მიიღონ პროექტის დაფინანსება-არ-დაფინანსებასთან დაკავშირებით.

გზამკვლევი მოიცავს მცირე ბიზნეს გრანტების კონკურსის განაცხადის **მე-3 ნაწილს “დეტალური ინფორმაცია ბიზნეს პროექტის შესახებ”**. გზამკვლევი შემდეგი სტრუქტურით არის წარმოდგენილი:

- თითოეული გვერდის მარცხენა მხარეს წარმოდგენილია კითხვა/ინფორმაცია, რომელიც უნდა შეავსოთ, ხოლო მარჯვენა მხარეს - შევსების ინსტრუქცია.

გაითვალისწინეთ, რომ ეს გზამკვლევი წარმოადგენს დამხმარე დოკუმენტს. განმცხადებლის ვალდებულებაა, დეტალურად გაეცნოს საგრანტო კონკურსის პირობებს და სრულყოფილად წარმოადგინოს განაცხადი ყველა სავალდებულო დოკუმენტთან ერთად.

განაცხადის შესავსები ნაწილი

კითხვა 3.1. დეტალურად აღწერეთ, რა ბიზნესის დაწყებას აპირებთ:

კითხვა 3.2. რა პროდუქტის/მომსახურების წარმოებას აპირებს თქვენი ბიზნესი?

პროდუქტის/ მომსახურების დასახელება	**პროდუქტის-მომსახურების აღწერა**

შევსების ინსტრუქცია

ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს გააცნოთ თქვენი ბიზნეს იდეა და რაც შეიძლება კარგი წარმოდგენა შეუქმნათ თუ რის გაკეთებას აპირებთ და როგორ აპირებთ თქვენი ბიზნესით ფულის შოვნას.

<u>მომზადების ინსტრუქცია:</u>

- <u>მ</u>ოკლედ აღწერეთ თქვენი ბიზნეს პროექტი, რა პროდუქტით/ მომსახურებით აპირებთ შემოსავლის მიღებას, სად აპირებთ ბიზნეს პროექტის განხორციელებას და ვინ იყიდის თქვენს პროდუქტს/ მომსახურებას;
- მიუთითეთ თქვენი ბიზნესის დასახელება და რატომ შეარჩიეთ ის.
- აღწერეთ, რა იქნება თქვენი ბიზნესის იურიდიული ფორმა და რატომ არის ეს ფორმა ყველაზე ხელსაყრელი.
- მოკლედ აღწერეთ, რატომ გადაწყვიტეთ ამ ბიზნეს იდეის განხორციელება.

ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს გააცნოთ ყველა პროდუქტი/ მომსახურება, რომლის გაყიდვითაც აპირებთ ბიზნესის წარმოებას.

<u>მომზადების ინსტრუქცია:</u>

- ცხრილის სვეტში "პროდუქტის/მომსახურების დასახელება" ჩამოწერეთ ყველა სახეობის პროდუქტი/მომსახურება, რომლის წარმოებასაც აპირებთ. მაგალითები: პროდუქტის შემთხვევაში - ყველი, მაწონი, იოგურტი, ხაჭო... სერვისის შემთხვევაში: ღამისთევა სასტუმროში, ველო-ტური, კულინარიის გაკვეთილი...
- ცხრილის სვეტში "პროდუქტის-მომსახურების აღწერა" თითოეული პროდუქტის/მომსახურებისთვის მოკლედ და კონკრეტულად აღწერეთ ძირითადი მახასიათებლები. მაგალითები: პროდუქტის შემთხვევაში - ყველი ძროხის რძის 500 გრ. შეფუთვა... სერვისის შემთხვევაში: 2-საათიანი კულინარიის გაკვეთილი.

განაცხადის შესავსები ნაწილი

კითხვა 3.3. რა რაოდენობის პროდუქტის/ მომსახურების წარმოებას შეძლებთ ბიზნეს პროექტის განხორციელების შედეგად?

პროდუქტის/ მომსახურების დასახელება	**წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტის/ მომსახურების რაოდენობა**

კითხვა 3.4. ახასიათებს თუ არა თქვენს პროდუქტს/მომსახურებას სეზონურობა?

შევსების ინსტრუქცია

ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს აჩვენოთ, რამდენი პროდუქტის/ მომსახურების წარმოებას შეძლებთ/ფიქრობთ წლის განმავლობაში.

<u>მომზადების ინსტრუქცია:</u>

- ცხრილის სვეტში "პროდუქტის/მომსახურების დასახელება" პროდუქტის/მომსახურების ჩამონათვალი გადმოიტანეთ კითხვაში 3.2. შევსებული ცხრილიდან;
- ცხრილის სვეტში "წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტის/ მომსახურების რაოდენობა ჩაწერეთ თითოეული პროდუქტის/ მომსახურებისთვის რა რაოდენობის წარმოებას შეძლებთ/ფიქრობთ. მაგალითები: პროდუქტის შემთხვევაში: ყველი ძროხის რძის 500 გრ. შეფუთვით - 2,000 კგ... მომსახურების შემთხვევაში: 2-საათიანი კულინარიული გაკვეთილი - 150 გაკვეთილი წელიწადში

პროდუქტის/მომსახურების სეზონურობა ნიშავს მნიშვნელოვან სხვაობას წარმოების/გაყიდვის რაოდენობებში წლის სხვადსხვა დროს. ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს უთხრათ, თქვენი მომსახურება/პროდუქტი სეზონურია თუ თანაბარი წარმოება/გაყიდვაა მოსალოდნელი წლის ყველა დროს.

<u>მომზადების ინსტრუქცია:</u>

- ამ ნაწილში მხოლოდ უნდა მონიშნოთ "დიახ" პასუხი, თუ თქვენს პროდუქტს/მომსახურებას ახასიათებს სეზონურობა, ხოლო "არა"პასუხი, თუ სეზონურობა არ ახასიათებს;
- მონიშვნისთვის ან აღნიშვნა გააკეთეთ შესაბამისი პასუხის გვერდით არსებულ კვადრატში, ან წაშალეთ ის პასუხი, რომელიც არ შეესაბამება თქვენს პროდუქტს/მომსახურებას.

განაცხადის შესავსები ნაწილი	შევსების ინსტრუქცია
კითხვა 3.5. აღწერეთ თქვენი პროდუქტების/ მომსახურების წარმოებისა და გაყიდვის სეზონურობის მახასიათებლები.	ეს კითხვა ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კითხვაში 3.4. უპასუხეთ “დიახ”. თუ უპასუხეთ არა, უნდა გადახვიდეთ კითხვაზე “3.6.”. ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს მიაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია თქვენი პროდუქტის/მომსახურების სეზონურობა. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> • შეგიძლიათ ტექსტის სახით აღწეროთ და გადმოსცეთ, წელიწადის რომელ დროს/თვეებში არის წარმოება ან/და გაყიდვა მაღალი, ხოლო როდის არის დაბალი, ან საერთოდ არ ხდება წარმოება ან/და გაყიდვა; თუ სეზონურობა განსხვავდება სხვადასხვა პროდუქტის/მომსახურების მიხედვით (როდესაც რამდენიმე გაქვთ ასეთი, მაშინ სათითაოდ მიუთითეთ რომელი პროდუქტის/მომსახურების შესახებ როგორი მდგომარეობა/მოლოდინებია; • შეგიძლიათ გააკეთოთ ცხრილის სახითაც, სადაც ჩაწერთ წელიწადის თორმეტივე თვეს და იქ მიუთითებთ თითოეულ პროდუქტთან მიმართებით როგორია თქვენი მოლოდინები.
კითხვა 3.6. რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული?	ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს გააცნოთ, რა განაპირობებს თქვენი ბიზნეს იდეის წარმატებას. <u>მომზადების ინსტრუქცია: მოკლედ აღწერეთ</u> • რატომ ხედავთ თქვენი ბიზნესის საჭიროებას და უკვე არის თუ არა მსგავსი ბიზნესი თქვენს გარშემო ან ქვეყნის მასშტაბით; ჩამოთვალეთ რა ბიზნესებია, რას აკეთებენ ისინი და თქვენი რით იქნება განსხვავებული და მომხმარებელმა რატომ უნდა აირჩიოს თქვენი პროდუქტი/მომსახურება; • რა არის თქვენი ძლიერი მხარეები, რომელიც მოგცემთ შესაძლებლობას, რომ იმ პროდუქტზე/მომსახურებაზე არსებული საჭიროება დააკმაყოფილოთ.

განაცხადის შესავსები ნაწილი	შევსების ინსტრუქცია
კითხვა 3.7. ვინ იქნებიან თქვენი პროდუქტის/ მომსახურების მომხმარებლები?	იმისთვის, რომ ბიზნესმა მიაღწიოს წარმატებას, კარგად უნდა ესმოდეს, ვისთვის არის მისი პროდუქტი/მომსახურება გათვლილი. ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს გააცნოთ თქვენი შესაძლო მომხმარებლების კატეგორიები. მაგალითად, თქვენი მომხმარებლები შეიძლება იყონ ადამიანები, სხვა ბიზნესები, ან ორივე ერთად. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> • აღწერეთ, რა ტიპის მომხმარებლები გეყოლებათ, და რა მახასიათებლები აქვთ მათ; მაგალითად, თუ თქვენი მომხმარებლები იქნებიან ადამიანები, რაც შეიძლება კონკრეტულად აღწერეთ: ასაკი, სქესი, შემოსავალი, საცხოვრებელი ადგილი და ყველა სხვა მახასიათებელი, რაც მნიშვნელოვანია თქვენთვისს ; ბიზნესების შემთხვევაში - სფერო, რომელშიც ბიზნესი მოღვაწეობს, ბიზნესის ზომა, მდებარეობა, ღირებულებები და ყველა სხვა მახასიათებელი, რაც მნიშვნელოვანია თქვენს პროდუქტთან/სერვისთან მიმართებით. • გადმოეცით, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ამ ტიპის მომხმარებლები დაინტერესდებიან თქვენი პროდუქტით?
კითხვა 3.8. როგორ და სად გაყიდით თქვენს პროდუქტს/მომსახურებას?	ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს გააცნოთ ის არხები/გზები, რომლითაც ფიქრობთ თქვენი პროდუქტის/მომსახურების გაყიდვას. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> • აღწერეთ, ყველა ის გზა, რომლითაც გააგებინებთ მომხმარებელს თქვენი პროდუქტის/მომსახურების შესახებ და როგორ მოახდენთ გაყიდვას. მაგალითად, გამოიყენებთ სოციალურ მედიას (facebook და სხვა), რომ მომხმარებელმა გაიგოს თქვენს შესახებ და შეგითხნამდეთ პროდუქტის ყიდვა/გადახდის შესახებ და შემდეგ მიწოდებას განახორციელებთ თქვენივე ტრანსპორტით ან ფოსტით; ან, განათავსებთ ინფორმაციას თქვენი საოჯახო სასტუმროს შესახებ booking.com ან სხვა არხზე.

განაცხადის შესავსები ნაწილი	შევსების ინსტრუქცია
კითხვა 3.9. რა რესურსები გჭირდებათ იმისთვის, რომ პროდუქტი/მომსახურება აწარმოოთ და გაყიდოთ?	ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებელს მიაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ და რა გჭირდებათ იმისთვის, რომ პროდუქტი/ მომსახურება აწარმოოთ და გაყიდოთ. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> • შეგიძლიათ ტექსტის სახით აღწეროთ ან მოამზადოთ ჩამონათვალი: **ადამიანების შესახებ**, რომლებიც თქვენი ბიზნესისთვის დაგჭირდებათ; მაგალითად, კვების ტექნოლოგი, მარკეტინგის სპეციალისტი და სხვა. **ძირითადი საშუალებების შესახებ**, დანადგარები, ინვენტარი, შენობა-ნაგებობა, და სხვა, რომლებიც თქვენი პროდუქტის/მომსახურების წარმოებისთვის დაგჭირდებათ.
კითხვა 3.10. უკვე რა რესურსები გაქვთ იქედან, რაც 3.9. კითხვაში მიუთითეთ?	ამ კითხვიე დანიშნულებაა, გადმოსცეთ, თუ საჭირო რესურსებიდან უკვე რაიმე გაქვთ. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> შეხედეთ კითხვას 3.9. მოცემულ რესურსებს და თუ ამ რესურსებიდან უკვე რაიმე გაქვთ, თუნდაც ჯერ არ იყენებდეთ ბიზნესისთვის, აღწერეთ ყველა ეს რესურსი. მაგალითად, თუ თქვენ თვითონ ხართ კვების ტექნოლოგი, შეგიძლიათ მიუთითოთ ამის შესახებ, ან, თუ უკვე გაქვთ შენობა ან რაიმე დანადგარი, ან ბიზნესისთვის საჭირო სხვა ინვენტარი, ჩამოწერეთ და მიუთითეთ აღწერა - მაგალითად, შენობის შემთხვევაში, ეს საკუთრებაში გაქვთ თუ არა, რა ფართობის არის, რა მდგომარეობაშია და ა.შ.

განაცხადის შესავსები ნაწილი	შევსების ინსტრუქცია
კითხვა 3.11. რა რესურსების შეძენას/შექმნას აპირებთ თქვენი ბიზნეს პროექტის განხორციელების შემთხვევაში იქედან, რაც 3.9. კითხვაში მიუთითეთ?	ამ კითხვის დანიშნულებაა, აღწეროთ, თუ რაში აპირებთ გრანტისა და თანამონაწილეობის თანხის დახარჯვას იქედან, რაც ჩამოთვალეთ კითხვაში 3.9. და ჯერ რაც არ გაქვთ. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> შეხედეთ კითხვას 3.9. ჩამოთვლილ საჭირო რესურსებს და ასევე იმას, რაც კითხვაში 3.10. ჩამოთვალეთ, რომ გაქვთ უკვე. ჩამოწერეთ ის რესურსები, ძირითადი საშუალებების სახით, რაც გჭირდებათ, უკვე არ გაქვთ და უნდა იყიდოთ/შექმნათ ბიზნეს პროექტის განხორციელების შემთხვევაში. აღწერეთ რაც შეიძლება კონკრეტულად; მაგალითად: თუ ჩირის საშრობი აპარატი გჭირდებათ, როგორი აპარატია ეს - რამდენი კგ. ხილის გაშრობა შეუძლია ერთ ციკლში და სხვა. თუ არის რაიმე ისეთი, რაც გჭირდებათ და არც ყიდვას აპირებთ, აუცილებლად უნდა აღწეროთ, როგორ აპირებთ ამ დანაკლისის შევსებას.
კითხვა 3.12. თქვენი გამოცდილება იმ საქმიანობაში, რის განხორციელებასაც თქვენი ბიზნესი გეგმავს.	ამ კითხვიე დანიშნულებაა, აღწეროთ, თუ რამდენად და რა ცოდნა, გამოცდილება და უნარები გაქვთ თქვენი ბიზნეს პროექტის წარმატებულად განხორციელებისთვის. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> აღწერეთ განათლება, გამოცდილება, უნარები და ინტერესი, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი ბიზნესის წარმატებაში. ამ ნაწილის მომზადებისას შეეცადეთ, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს: • რატომ გადაწყვიტეთ ბიზნესის კეთება? ამ ნაწილში კარგად უნდა წარმოაჩინოთ, რით არის თქვენი ბსურვილი განპირობებული. • ხართ მიზანდასახული, მიაღწიოთ წარმატებას? • თვლით, რომ გაქვთ ბიზნესის წარმატებისთვის საჭირო უნარები, ცოდნა და გამოცდილება?

განაცხადის შესავსები ნაწილი

კითხვა 3.13. ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა:

როლი	**როლის მოკლე აღწერა**	**დასაქმებულთა რაოდენობა თითოეულ როლში**

შევსების ინსტრუქცია

ამ კითხვის დანიშნულებაა, აღწეროთ, თუ ვინ გჭირდებათ იმისთვის, რომ თქვენი ბიზნესი ფუნქციონირებდეს.

<u>მომზადების ინსტრუქცია:</u>
ამ კითხვაში უნდა შეავსოთ ცხრილი:

- "როლი"-ს ქვეშ ჩამოწერეთ ყველა ის როლი, რაც საჭიროა თქვენი პროდუქტის/მომსახურების წარმოება-გაყიდვისა და ბიზნესის ფუნქციონირებისთვის, მაგალითად: მცხობელი, დამლაგებელი, კვების ტექნოლოგი, ბუღალტერი...
- "როლის მოკლე აღწერა" შესაბამის როლების გასწვრივ მიუთითეთ, რა იქნება მათი ძირითადი მოვალეობები;
- "დასაქმებულთა რაოდენობა თითოეულ როლში" შესაბამისი როლების გასწვრივ მიუთითეთ დასაქმებული ადამიანების რაოდენობა - მაგალითად: თუ გეყოლებათ 2 მცხობელი დასაქმებული, მიუთითეთ 2.

განაცხადის შესავსები ნაწილი

კითხვა 3.14. წლის განმავლობაში მოსალოდნელი გაყიდვები, ღირებულება და ფასი:

დასახელება	მოსალოდნელი გაყიდული რაოდენობა	ღირებულება	ფასი	შემოსავალი

შევსების ინსტრუქცია

ამ კითხვის დანიშნულებაა, აღწეროთ, თუ როგორი არის თქვენი ფინანსური მოლოდინები.

<u>მომზადების ინსტრუქცია:</u>
ამ ნაწილში უნდა შეავსოთ ცხრილი:

- "პროდუქტის/მომსახურების დასახელება" - ამ სვეტში უნდა გადმოიტანოთ კითხვა 3.2. ჩამოთვლილი ყველა პროდუქტი/ მომსახურება, რომლის წარმოებასაც აპირებთ;
- "ერთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი გაყიდული რაოდენობა" - ამ სვეტში თითოეული პროდუქტის/მომსახურების გასწვრივ უნდა მიუთითოთ რა რაოდენობის პროდუქტის/მომსახურების გაყიდვის მოლოდინი გაქვთ პირველი წლის განმავლობაში, მაგალითად: 1500 კგ. ძროხის რძის ყველი; ან 160 გაქირავებული ნომერი;
- "რა დაგიჯდებათ ერთი ერთეული პროდუქტის/მომსახურების წარმოება-გაყიდვა" - თითოეული პროდუქტის/მომსახურების გასწვრივ უნდა მიუთითოთ, რა იქნება მისი თვითღირებულება; გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ წარმოებისთვის გამოყენებული ნედლეული არ არის თვითღირებულება, არამედ ხელფასები, კომუნალური ხარჯები და ა.შ.
- "რა ფასად გაყიდით პროდუქტის/მომსახურების ერთ ერთეულს" - თითოეული პროდუქტის/მომსახურების გასწვრივ უნდა მიუთითოთ, რა ფასად გეგმავთ ერთეულის გაყიდვას. გაითვალსწინეთ, რომ ფასი უნდა იყოს ღირებულებაზე მეტი, რომ ზარალში არ იყოთ.
- "თითოეული პროდუქტის გაყიდვიდან წლის მანძილზე მოსალოდნელი შემოსავალი" - თითოეული პროდუქტის გასწვრივ უნდა დაიანგარიშოთ და ჩაწეროთ მოსალოდნელი გაყიდული რაოდენობისა და ფასის ნამრავლი.

განაცხადის შესავსები ნაწილი	შევსების ინსტრუქცია
კითხვა 3.15. სიახლე/სიკეთე, რომელიც თქვენი ბიზნეს პროექტის განხორციელებით იქმნება თქვენს სოფელში/თემში/ მუნიციპალიტეტში/რეგიონში/ქვეყანაში	ამ კითხვის დანიშნულებაა, აღწეროთ, თუ რა იქნება დამატებითი სიკეთე, გარდა თქვენი შემოსავლის ზრდისა, რომელიც თქვენი ბიზნეს პროექტის განხორციელებას მოჰყვება. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> • აღწერეთ, რამე სიახლე თუ შემოაქვს თქვენს ბიზნეს პროექტს მუნიციპალიტეტში, რეგიონში, ქვეყანაში; ან/და • რაიმე დადებითი გავლენა თუ ექნება თქვენს ბიზნეს პროექტს, მაგალითად ადგილზე ადამიანების დასაქმების კუთხით, ან გარემოს დაცვის კუთხით, ან რეგიონისთვის/საზოგადოებისთვის სხვა რაიმე სასარგებლო მიმართულებით.
კითხვა 3.16. პროექტის განხორციელების გეგმა	ამ კითხვის დანიშნულებაა, შემფასებლებს აჩვენოთ, თუ რა ვადებში და როდის აპირებთ თქვენი ბიზნეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას. გახსოვდეთ, რომ ბიზნეს პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს მაქსიმუმ 6 თვის ვადაში. <u>მომზადების ინსტრუქცია:</u> • ამ ნაწილში უნდა შეავსოთ ცხრილი - ჩამოწეროთ მოქმედებები და გააფერადოთ თითოეულის გასწვრივ ის თვეები, როდესაც მათ განხორციელებას აპირებთ; იხილეთ ნიმუში:

საქმიანობა	პირველი თვე	მე-2 თვე	მე-3 თვე	...
1. დანადგარის შეკვეთა				